წელიწადი მე-2 ტელეფონი № 76. კვირა, 6 ნოემბერი

# სამშობლო

ფასი 3 კ.

გაზეთის ფასი: წლიურად 9 მან., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნომერი ერთი შაური. დაბაჯებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ.

განცხადების ფასი: ყველგან ერთი პეტიტის სტრიქონი... პეტიტით ღირს 15 კ. ... სხვა ადგილებიდან კავკასიის ... შულ განცხ. დებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარი განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათის შემდეგ 5 მან.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თბილისის ქ., ქნ. მიქელაძის სახლებში.

№ 478 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. № 478

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიუცია პეტრეს ასული, სოფია სოლომონის ასული, ეკატერინე ალექსანდრეს ასული და მიშა ალექსანდრეს ძე ანდრეევები და იულია ალექსანდრეს ასული საიანოვისა, აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ დღეს, კვირას, 6 ნოემბერს 11 საათზე საფირჩხიის ეკლესიაზე გადახდილ იქნება საღმრთო წირვა და პანაშვიდი

გიორგი (ჟორა) ანდრეევის

სულის მოსახსენებლად.

---

მეუღლე ივანე ნიკოლოზის ძე და ვაჟიშვილი ალექსანდრე ივანეს ძე ვასილიევები, ქალიშვილი ნადეჟდა ივანეს ასული ბუზოლლისა, რძალი ნინო ქაიხოსროს ასული ვასილიევისა და სიძე ინჟენერი მიხეილ ვართანის ძე ბუზოლლი ულრმეს მადლობას სწირავენ ყველას, ვინც კეთილ ინება და პატივი სცა

მარიამ სიმონის ასულის ვასილიევის

ხსოვნას, როგორც პირადათ თანაგრძნობის გამოცხადებით, აგრეთვე წერილებით და დეპეშებით.

---

ელექტრო „რადიუმ"-ის თეატრი

ხუთშაბათიდან, 3 ნოემბრიდან 1916 წ. ახალი პროგრამა:

## ალიონი განთავისუფლებისა

ცნობილი დრამა 5 ნაწილად თანამედროვე ომიდან. მოქმედება სწარმოებს მდ. იზონცოს ნაპირებზე. სურათი გადაღებულია იტალიის სამხედრო მინისტრის ნებართვით.

საქვეყნო ცნობები პათე ჟურნალი საქვეყნო ცნობები.

მოწაფეის ოინები

---

ელექტრო „ამპირ" თეატრი

ხუთშაბათიდან, 3 ნოემბრიდან 1916 წ. ახალი პროგრამა

## ქორის ბუდე

მეორე სერია. დრამა ცხოვრებიდან 5 ნაწილად. პაზუხინის ცნობილ რომანის მიხედვით, ცნობილ მსახიობთა ლისენკოს, კარამანოვისა, რიმსკისა და კანოვას მონაწილეობით.

საქვეყნო ცნობები | პათე ჟურნალი | საქვეყნო ცნობები

---

ექიმმა ალექსანდრე მაქსიმეს ძე ასათიანმა განაახლა ავადმყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან) ავათმყოფებისა ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე, სახლი № 3 ტელეფონი № 101. თ.

---

ექიმი ი. ჩარექიშვილი ქალაქის საავადმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავადმყოფებს. (სისხლში შესხმა „606" და „914") დილით $12^1/_2$—2 საათ. საღამოს 6—8 ს. მისამართი: ლვოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

---

დოქტორი მედიცინისა

დიმიტრი ალექსანდრეს ძე ნაზაროვი.

ლეჩულობს ბავშთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფებს მუდამ დღე, მხოლოდ დილის ათი საათიდან თორმეტამდე. გენერლის ქუჩა, საკუთარი სახლი. 10—4 დღ. გამ.

---

ვამზადებ მოწაფეებს ყველა კლასებისათვის. პირობები ხელსაყრელია. პირობების გაგება შეიძლება ყოველდღე—ივანოვის ქ. სახ. 3 პილაძის შესავალი გაზ „მეგობრის" რედაქციის ბინიდან.

---

მასაჟისა და სახის სამკურნალო კაბინეტი

მარიამ ტ. გალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, საქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავადმყოფობას, ამასთან უცხო ყვავილსაც და აგრეთვე ნამდვილათ ვარჩენ თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ახალ გამოგონილ წამლის საშუალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს.

ავადმყოფები მიიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათ. რჩევა და დარიგება ათი შაური მისამართი: დადიანის შესახვევი, გ. კოსტავას სახლები. № 37.

304—1—თვით.

---

ექიმი გაბრიელ იოსების ძე გოკიელი დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. ... ავათმყოფთათვის. ავადმყოფნი მიიღებიან დილით 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ.

გ-8 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

---

ბებია მ. მ. კოხრეიძე უვლის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ...ის მაღაზიის ზირდაპირ.

---

# განცხადება.

ქ. ქუთაისში ახლად დაარსებული

საურთიერთო ნდობის სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საზოგადოების

## საორგანიზაციო კომიტეტი

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ხსენებული საზოგადოება დაიწყებს თავის მოქმედებას მომავალი 1917 წლის 1 იანვრიდან;

წევრების მიღება დაიწყება მდგომარე წლის 7 ნოემბრიდან.

ვისაც სურს საზოგადოების წევრად ჩაწერა განცხადებით უნდა მიმართოს კომიტეტის წევრს-ხაზინადარს ა. მ. კრინიცკის ქ. ქუთაისში, გიმნაზიის ქუჩაზე, შავი ქვის მრეწველთა საბჭოს დარბაზში, და თან შეიტანოს იმ კრედიტის ათი პროც. რომლის გახსნასაც თხოულობს.

---

ქუთაისის ქალაქის თეატრი წარმ. № 15.

კვირა 6 ნოემბერი 1916 წ.

საზოგადოების სამარინი:

## იუდას მემკვიდრე

დრ. 5 მოქმ. თარგმ. კონსტან-ანდრიონისა.

მონაწილენი: ქ-ნი ბჟალიშვილი ს., მდივანი მ., ლოლობერიძე ო. ბ-ნი გომელაური ზ., იმედაშვილი ალ., კორიშელი პლ., მურუსიძე ან., სარელი ვლ. ყალაბეგიშვილი ალ., ჩხიკვაძე ვ., ჩარკვიანი გრ.

რეჟისორი ალ. იმედაშვილი. თანაშ. ალ. გუგუშვილი ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

მორიგე წევრი გამგეობისა ა. კოსტავა.

ადმინისტრაცია დრამატ. საზოგად. გამგეობისა დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

---

რუს-ფრანგთა რეზინისა, გუტაპერჩისა და სატელეგრაფო ნაწარმოების ამხანაგობის

## „პროვოდნიკი"-ს

გამგეობა მოსკოვში

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ

კონსტანტინე პორფირის ძე ეუსევი

ჩვენი ამხანაგობის ქუთაისის საწყობის გამგეთ აღარაა და მისდამი რწმუნებას გასული თვის ოქტომბრის 31 დან აღარ აქვს ძალა. ქუთაისის საწყობის გამგეთ ახლა ჩვენ მიერ დანიშნულია

ალექსანდრე ნიკიტას ძე გორშკოვი

გამგეობა სთხოვს ბ.ბ. მუშტრებს, რომ პატივისცემ და იგი ალჭურვონ ნდობით

3—1

---

დაიბეჭდა ბ. დ. უზნაძის მიერ შედგენილი წიგნი: „მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო" პირველი ნაწილი ძველი აღმოსავლეთი და პირველყოფილი კულტურა. გამოცემა თ. მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიისა. ფასი წიგნისა 6 აბაზი.

იბეჭდება და მალე გამოვა ბ. ს. გორგაძის მიერ შედგენილი ქრისტომატია „ჩვენი ახალი მწერლობა" და ბ. ვ. ციფიანის მიერ შედგენილი ალგებრა ქართულ ენაზე.

---

# მსოფლიო ომი.

## დეპეშები

(პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოსაგან)

### უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისაგან.

პეტროგრადი. დასავლეთის ასპარეზი. მთელს ბრძოლის ხაზზე სროლაა. უფრო ცხარე სროლაა ნაროჩის ტბის მიდამოებში და მდ. სტროხოდის ზოგიერთ ადგილებში. შელვოვის ჩრდილოეთით ჩვენი ზარბაზნები მარჯვედ უშენდნენ ქიმიურ ყუმბარებს მტრის ზანაკს. მდ. ნარიუვკის მიდამოებში ლიპაცა დოლნაიას მოპირდაპირემ შემოუტია, უნდოდა წინა დღით დაკარგული სანგრები დაებრუნებინა. ზედიზედ მოტანილი ორი იერიში სროლით მოვიგერიეთ.

### კავკასიის ასპარეზი.

ბიჯარის მიმართულებით ოსმალებს კოზაზისა და ჯანელაგის მიდამოები დავაცლევინეთ სულტან აბადის სამხრეთით.

### რუმინიის ასპარეზი

კიმპოლუნგის მიდამოებში ბრძოლა გრძელდება. მოპირდაპირეს მრავალრიცხოვან მძიმე ზარბაზნების დახმარებით, იერიშები მოაქვს, იგი დიდად ზარალობს. ყველა იერიშები მოიგერიეს. რუმინელებმა თავის ადგილები შეინარჩუნეს. მდ. ალიუტას და ჟიუს ველში ცხარე ბრძოლაა. დობრუჯაში ჩვენი ჯარი კვლავ წინ იწევს სამხრეთისაკენ. უკანდახევის დროს მტერი რუმინელების სოფლებს ჰბუგავს.

რომი. იტალიელების ოფიც. ცნობა. კარსოზე რამდენიმე ადგილას ბრძოლის ხაზი გავასწორეთ; ხელთ ვიგდეთ სანგრის მძიმე მორტირები. 30 ღვინობისთვეს მოპირდაპირის ჰიდროპლანებმა ყუმბარები დაუშინეს რავენს, პორტო ლევორესკუბს და პოლეზოლოის.

ლონდონი. საადმირალო იტყობინება: ჩვენი საფრენების და ჰიდროპლანების რაზმები თავს დაესხნენ ოსტენდეს, ზეებრიუგეს სიმაგრეებს და ყუმბარები დააყარეს. მოტორების და ფლოტის სახელოსნოებს მარჯვედ მოახვედრეს და ნავთის საწყობებში ცეცხლიც შეამჩნიეს.

### 4 ნოემბერი.

პარიზი საღამოს ოფიც. ცნობა. სომას ხაზზე ცხარე ბრძოლა იყო მთელ დღეს. მდ. სომას ჩრდილოეთით და სამხრეთითაც იმავე დროს გერმანელები დიდის ძალებით შეტევაზე გვაწვებოდნენ. მოპირდაპირემ თვალსაჩინო მსხვერპლის განწირვით უმნიშვნელო რამ გამარჯვებას მიაღწია. სომას ჩრდილოეთით, ლემეს და ვუმავენს შუა ზარბაზნების დაშენის შემდეგ მოპირდაპირე იერიშით წამოვიდა. სოფ. პრესუარის აღმოსავლეთ ნაწილში მოახერხა მოპირდაპირემ ცოტა წინ წამოწევა.

რიგა. გუშინ დილით რიგის ჩრდილოეთ გარეუბანში გერმანელების ჰაეროპლანი გამოჩნდა, მაგრამ სროლით უკან გავაბრუნეთ.

ბუქარესტი. რუმინელების ოფიც. ცნობა. ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთის ასპარეზი. მოლდავიის დასავლეთ საზღვარზე, სლონიკის ველამდე ცვლილება არ მომხდარა. სლონიკის ველსა და ოიტუზში მტერს მიჯნებს იქით ვდევნით. პოტნოს ველსა და პრედეალის შუა მდგომარეობა არ შეცლილა. დრაგოსლავლის მიდამოებში მოპირდაპირემ, მძიმე ზარბაზნების დახმარებით, რამდენიმე იერიში იტანა, მოვიგერიეთ და ჩვენი ადგილები შევინარჩუნეთ. ალიუტის ველში მტერს მაშველი ჯარი მოუვიდა ჩვენი ჯარი იძულებული გახდა გაცილებით მეტი მტრის წინაშე უკან დაეხია. სლატრუბრეზვოსთან ჩვენი ჯარი იძულებული გახდა უკან დაბრუნებულიყო.

ჟიუს ველში მოპირდაპირეს იერიშები მოაქვს. დუნიის დასწვრივ თოფების სროლაა.

ბუქარესტი. უკანასკნელ სამ დღეში მოპირდაპირის საფრენები დიდს მოქმედებას იჩენენ. ისინი თავს დაესხნენ ტურნუმაგურე, ზიმნიცას, ჯურჯევისა, კიმპოლუნგისა, სინაისა და რომანის მიდამოებს.

გუშინ მოპირდაპირეს მფრინავებმა ბუქარესტსა და მის გარეუბნებს ყუმბარები დაუშინეს. დაიხოცა და დაიჭრა ბევრი მშვიდობიანი მცხოვრები, განსაკუთრებით დედაკაცები და ბავშვები. დიდძალი ყუმბარები დააყარეს სასახლეს, რომელშიაც დედოფალის და მისი ასულის სადგომია. საბედნიეროდ მეფის ოჯახობა იმხანად სასახლეში არ იმყოფებოდა, ბატონიშვილის მირჩის გარდაცვალების შემდეგ. მტრის მფრინავები ქალაქის გარე უბანსა და სოფლებზე თავდასხმის დროს ძლიან

დაბლა ეშვებიან და ტყვიისმფრქვეველებს უშენენ ქალაქის ქუჩებში, გარეუბნებში, მინდვრად თუ სოფლად მყოფ მშვიდობიან ხალხს.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

„რუს. სლოვო." წერს, რომ საფრანგეთის მეზღვაურებს საბერძნეთის სატახტო ქალაქი ათინა დაუტოვებიათ. ამის მიზეზი შეთანხმების სახელმწიფოთა წარმომადგენელთა მეფე კონსტანტინესთან მოლაპარიკება ყოფილა. სამაგიეროთ მეფეს სიტყვა მიუცია, რომ დაპყრილ ოფიცრებს გაანთავისუფლებს და მსურველთ ვენიზელოსის მხარეზე გადასვლას არ დაუშლის.

— —

„რუს. ვედ." ცნობა მოსვლია, რომ რეიხსტაგი ხელმეორედ მალე გაიხსნებაო.

— —

„დენი"ს სიტყვით ნემცებს ძრიელ გაუჭირდათ რუმინიაში. მათ არ ეგონათ, რომ რუმინელები ასეთ წინააღმდეგობას გაუწევდენ, დღეს კი მიხვდენ, რომ გერმანია და ბულგარეთი ნაბიჯსაც ვერ გადადგამს ისე, რომ ბევრგვარი დაბრკოლება არ შეხვდეთ. იმპერატორი ფრანც იოსების ავათმყოფობა გართულებულა.

— —

რადკო დიმიტრიევს ჟურნალისტებისთვის უთქვამს, რომ ახლო მომავალში გერმანიიდან დიდ მოქმედებას არ უნდა მოველოდეთო, რადგან იგი ძრიელ დაღლილიაო. გერმანია ცდილობს ახლა ზურგი გაიმაგროსო.

— —

რუმინიის წინააღმდეგ მომქმედ სარდალ ფალკენჰაინის ნაცვლათ გერმანია გენერალ ლუდენდორფის დანიშვნას აპირებს.

— —

შეთანხმების სახელმწიფოთ ათინაში საზღვაო არსენალი დაუჭერიათ.

— —

ინგლისის ქვედა პალატაში ჩერჩილს უთქვამს, რომ ვენიზელოსის განკარგულებაში შეთანხმების სახელმწიფოთ ათი მილიონი დრახმი გადასცესო.

— —

პარიზიდან იტყობინებიან, რომ ბრიანს მოლაპარაკება ჰქონია შეთანხმების სახელმწიფოთა წარმომადგენელთან. ნოემბრის 2 ს საერთო თათბირი მოხდება გარეშე საქმეთა სამინისტროში. პუანკარეს საუზმე გაუმართავს, რომელზედაც ყოფილან ასკვიტი, ლოიდ-ჯორჯი, კარკანო, შეთანხმების სახელმწიფოთა წარმომადგენლნი და ნაციონალურ თავდაცვის საზოგადოების წევრნი.

## სახელმწიფო საბჭო.

სხდომა გაიხსნა გოლუბევის თავმჯდომარეობით. მინისტრთა ლოჟაში ისხდნენ მინისტრები და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

თავმჯდომარემ სხდომის გახსნის წარმოთქვა სიტყვა, რომელშიაც აღნიშნა მოკავშირეთა რიცხვის გაზრდა რუმინეთის გამოსვლით, აღნიშნა მოკავშირეთა მტკიცე გადაწყვეტილება იმ გამარჯვებამდე განაგრძონ მსხვერპლის დაურიდებლად. სიტყვის შემდეგ, ხელმწიფე იმპერატორს საერთო „ურა" უთხრეს. გადასწყვიტეს უქვეშევრდომილესი დეპეშა გაეგზავნათ.

**შებეკო** რიგს გარეშე განცხადებაში აღნიშნავს, რომ იგი ჯერ გაზაფხულზე მოითხოვდა, რომ მთავრობას ერთი მტკიცე გადაწყვეტილება და ღონისძიება მიეღო პოლონეთის საკითხის გადასაჭრელად, რათა ამ საქმეშიაც თაოსნობა არამც და არამც მტერს არ რგებოდა. მთავრობა ამის და მიუხედავად განაგრძობდა უქმად ყოფნას. ამასობაში ავსტრია-გერმანეთმა პოლონეთის დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. ორატორი სურვილს გამოსთქვამს, რომ პოლონეთის ხალხი თავის ინტერესს სწორად გაიგებს და გერმანელთა მაცდურებას არ მოუხიბლება, პოლონეთი უყოყმანოდ მოკავშირეთა გვერდში ამოუდგა, ომის დაწყებისას, რადგან სწამდა, რომ გამარჯვება გაერთიანებული პოლონეთის აღდგენას მოიტანდა, პოლონეთი თავის სურვილით რუსეთზე მახვილს არ აღმართავს, მაგრამ მთელი საშუალება და ტრადიზმი ისაა, რომ მტერი არ დაერიდება, პოლონეთზე ძალმომრეობა იხმაროს და საკუთარი სურვილის წინააღმდეგ აამოქმედოს. ამ ძნელ წუთებში უნდა მხნეობა შევმატოთ პოლონეთს და გაუფანტოთ საშინელი აზრი: თითქოს რუსეთსა და მის მოკავშირეთ საბოლოოდ განეზრახოთ პოლონეთის დატოვება საკუთარი ბედის ანაბარა! რუსეთმა უნდა განაცხადოს, რომ პოლონეთის საკითხს რუსეთი გადასჭრის თავის მოკავშირეებთან ერთად.

**შიდლოვსკი** მემარჯვენეთა ჯგუფის სახელით გამოსთქვამს უღრმეს აღშფოთებას, იმ განსაცდელის გამო რომელიც მტერმა რუსეთის პოლონეთს განუმზადა. იგი მოუწოდებს პოლონელებს მოიგონონ მოწოდება რომლითაც მეფის ბრძანებით პოლონეთის ხალხს მიმართა უმაღლესმა მთავარ-სარდალმა 1914 წ. პირველ მარიამობისთვეს, გამოსთქვამს მწუხარებას, რომ ომის პირველ წელს ვერ მოიცალეს პოლონეთის შინაგანი ცხოვრების განსახორციელებლად და მოსაგვარებლად, მაგრამ, ამბობს ორატორი, საქალაქო თვითმართველობა მაინც მივანიჭეთ და შემდეგშიაც პოლონეთის აღდგენა მხოლოდ რუსეთის საშუალებით მოხდებაო. პოლონელების ხსნა რუსეთის თვითმპყრობლის საქმე იქნება, იმ თავისუფლების აქტში, რომელიც ავსტრია-გერმანეთმა გამოაცხადა, პოლონელების სიკვდილია, მარცხიაო.

**ნეიდგარტი** მემარჯვენე ცენტრის ჯგუფის სახელით გამოსთქვამს აღშფოთებას, რომ ტევტონთა აქტმა დაარღვია ღვთის და ადამიანის კანონი და ყველა საერთაშორისო უფლება. უფლება რუსთა და პოლონელთა, უფლება, საქვეყნო. ამ აქტებს არ ძალუძთ რუს-პოლონელთა ურთი-ერთობის გამორკვევა, არ ძალუძთ ამ ხალხების შინაური დავის გადაჭრა. პოლონელთა მდგომარეობა ღრმად ტრაგიკულია, გერმანელთა ცბიერება მათ ეძლევა, დაარღვიონ დადებული ფიცის ღვთიური შეგნება.

**გურკო** სეპარატული გაერთიანების სახელით სალამს უძღვნის პოლონელთა განცხადებას, რომ ისინი ბოლომდე რუსეთის ერთგულნი დარჩებიან, ორატორი ამბობს, რომ პოლონელთა ერთგულებაში იჭვი არავის შეუტანია, რომ ამ ერთგულებას მაღლად დაადებს რუსის ჯარში მებრძოლი პოლონელთა სიმამაცე. ავსტრია-გერმანეთის აქტში ორატორი იმის საწინდარს ხედავს, რომ მტრებმა იმედი დაჰკარგეს პოლონეთის შენარჩუნებისა. პოლონეთის წინაშე მტანჯველი დილემაა. პოლონეთის ყოყმანი და გრძნობის გაორება გასაგებია. პოლონეთს წინადადება ეძლევა, ან სლავთა მოდგმის ძველის-ძველთაგან მტერთა ბანაკში ჩადგეს, ან კიდევ ამაზე უარი სთქვას და გამოეთხოვოს ავსტრია-გერმანეთისაგან დაპირებულ თავისუფლებას. რუსეთი ამას ვერ გაუჩუმდება. მან უნდა განუმტკიცოს სრული სიმხნევე პოლონეთის ხალხსო.

— —

პოლონეთის საკითხის შემდეგ, რომელიც რიგს გარეშე იყო წამოყენებული, სახ. საბჭო მორიგ საკითხებზე გადავიდა.

თანახმად პირველი შემადგენლობის კომისიის მოხსენებისა, სახელ. საბჭომ დაადგინა, გაიჩინოს ორი ახალი მუდმივი კომისია ერთი — სახალხო განათლების საქმეებისა, მეორე — სოფლის მეურნეობის საქმეებისა.

## სახელმწიფო სათათბირო

### 3 ნოემბერი

კრება გაიხსნა 11 ს. 47 წ. თავმჯდომარეობს ვარუნ-სეკრეტი თავმჯდომარე ბოდიშს ითხოვს სახ. სათათბიროს წინაშე, რომ მან პირველ გიორგობისთვის სხდომაზე ბ-ნ მილიუკოვს არ დაუშალა გერმანულ გაზეთებიდან ამოღებული ციტატები გერმანულ ენაზედვე წარმოეთქვა, როგორც ამას წესი მოითხოვდა. ამასთან ერთად ვარუნ სეკრეტი უარს ამბობს თავმჯდომარის ამხანაგის თანამდებობაზე ამის შემდეგ თავმჯდომარის ადგილს იჭერს ბ ნი როძიანკო. განაგრძობენ საბიუჯეტო კომისიის მოხსენების განხილვას.

**ზულაბინი** მკაცრად ეხება მთავრობის მოქმედებას საშინაო და საგარეო პოლიტიკაში.

**ეფრემოვი.** პროგრესისტების სახელით აცხადებს, რომ ფრაქცია თანაუგრძნობს პოლონელი ხალხის კანონიერ მისწრაფებას თავისუფლებისა და გაერთიანებისაკენ, მაგრამ ჰგონებს, რომ პოლონეთი მხოლოთ მაშინ ეღირსება ზრახვათა განხორციელებას, როდესაც გამარჯვება რუსეთსა და მის მოკავშირეთ დარჩება. ორატორი ეხება სურსათის საქმის მოუწესრიგებლობას და ამბობს: ეს გარემოება ძირს უთხრის რუსეთსო.

**კარაულოვი** ამბობს, სახ. სათათბირო უბრალო თათბირს დაწესებულებად გადაიქცა იმ გარემოებამ, რომ მთავრობა ასე ხშირად მიმართავს ხოლმე 87 მუხლსო. ორატორის აზრით ეს იმიტომ ხდება, რომ სათათბირო გამბედაობას ვერ იჩენს, და რომ სათათბიროს წევრები თავიანთ თავს ბატონებად ვერა გრძნობენ მაშინ როდესაც ქვეყანა სათათბიროს შეჰყურებს, მის სიტყვას და გუნებას უწევს ანგარიშსო. კრაულოვი მოითხოვს, რომ მთავრობა პასუხის მგებელი იყოს ხალხის წარმომადგენელთა წინაშე და ეს ეცნობოს ხელმწიფე იმპერატორს. უკეთუ სათათბირო ამგვარ მიმართვას მისაღებად არ სცნობს, მთავრობის წევრებს უნდა ბოიკოტი გამოუცხადოთ და არამც და არამც სათათბიროს სხდომაზე არ მოუწვიოთო. თავმჯდომარე შენიშნავს, რომ მინისტრების მოუწვევლობა არ იქნებაო. კარაულოვი მოითხოვს 1917 წ. ბიუჯეტის უკუგდებას.

**ჯაფაროვი** სურვილს გამოსთქვამს მაჰმადიანთა ჯგუფის სახელით, რომ რუსეთის იმპერიაში მოსახლე ყველა ეროვნებას მიენიჭოს თავისუფლება, რომლის გულისათვის დღეს რუსის ჯარი იბრძვის.

**გოლდმანი** ეხება გერმანეთის გულისთქმას კურლიანდიაზე და ამბობს, კურლიანდია გერმანული არას დროს არ ყოფილა; გერმანელთა რიცხვი მხოლოდ 5 პროცენტს შეადგენს და თუ ისინი ბატონობდენ, ეს რუსის მთავრობის სურვილით ხდებოდა. კურლიანდია ბალტიის ზღვის გასაღებია და რუსეთისთვის უაღრესად საჭირო არისო.

**მარკოვი მეორე.** ორატორი ეკამათება პროგრესიულ ბლოკის წევრებს და არღვევს ამ წევრების მიერ მთავრობის წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებათ. ორატორი ეხება ერთ ასეთ ბრალდებას, სახელდობრ, სურსათის საქმის მოუწესრიგებლობას და ამბობს: უსაფუძვლოა ასეთი ბრალდება, რადგან სურსათის საქმეს ჯერ იყო კრივოშეინი მიუძღოდა სახელმწიფო სათათბიროს წევრებთან ერთად ემუშავებულ წესის ფარგლებში, ხოლო ეხლა მთავრობა თითქმის სულ ერთიანად ჩამოშორდა ამ საქმეს, მას ქალაქთა და ერობათა კავშირების რწმუნებულები განაგებენ. მემარჯვენენი ერთად ერთ ხედავენ მდგომარეობიდან, ეს არის საკონსტიტუციო დიქტატურის შემოღება. მარკოვი აღნიშნავს, რომ მემარცხენე გაზეთები ბრალს სდებენ, თითქოს ის სდევნიდეს საზოგადო დაწესებულებებს რომელსაც მართავენ მაღალი პატრიოტული გრძნობები ამოქმედებენ. საილუსტრაციოდ ორატორს მოჰყავს შედარება რამდენათ ჯდება ზოგიერთი [illegible] მასალის დამზადება ერთის მხრით მთავრობის ბიუროკრატიულ ქარხანა-ზავოდებში და მეორეს მხრით კერძო ქარხნებში. თურმე ამ ქარხნებში ერთი ორად მეტად ჯდება, ვიდრე პირველებში. ეხლა მასალის [illegible] ხდება რომ მთავრობას ეკისრება თავის ქარხნებში, დღეს რუსეთის [illegible] მილიარდი მანეთი დარჩებოდაო. შემდეგ ორატორი აღნიშნავს, რომ პროგრესისტები მოითხოვდნენ სინოდის ორიოდე გროშის კონტროლი სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებოდა, მაშინ, როდესაც ეხლა იგივე პროგრესისტები ეწინააღმდეგებიან რომ მთავრობამ კონტროლი გაუწიოს იმ მილიონებს, რომელსაც ერობათა და ქალაქთა კავშირები ხარჯავენო.

**მაკლაკოვი** ორატორი აღნიშნავს, რომ რუსეთი ახალი საფრთხის წინაშე სდგას. ეს საფრთხე სურსათის კრიზისში კი არ მდგომარეობს, არამედ იმ მდგომარეობაში, რომ ჩვენ შორის არიან ისეთნი, რომელნიც ბედავენ და ამტკიცებენ თითქოს რუსეთს შესძლოდეს ეროვნული სულიერი განწყობილება. რუსეთმა, — ამბობს ორატორი, ბევრი მსხვერპლი გაიღო სამშობლოსა და გამარჯვებისთვის და არ იკადრებს, რომ [illegible] ზავზე ხელი მოაწეროს.

ხვალის სხდომაზე მოხდა სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარის [illegible] იქნა როძიანკო [illegible].

### ქ. ქუთაისი, 6 ოქტომბერი.

გუშინ ჩვენ, სხვათაშორის, სიტყვა ჩამოვაგდეთ „ქართველ ლიტერატორთა საზოგადოების" დაარსების შესახებ.

იმ ჟამს რომელი დღეს საქართველოს ადგია, შეიძლება ბევრს უდროოდ მოეჩვენოს ასეთი საზოგადოების დაარსება, მაგრამ თუ ღრმად ჩავუკვირდებით ჩვენს ყოფნას, სწორედ ახლაა საჭირო შეერთება საქართველოში მომქმედ ძალთა და ნამეტნავად შეერთება ქართველ ლიტერატორთა...

მართალია ჩვენ, ქუთაისში, არა გვაქვს საგრძნობი ძალა, მწერალთა რიცხვიც ძრიელ მცირეა მაგრამ ამ გარემოებამ სრულიადაც არ უნდა შეგვაშინოს.

რამდენადაც ჩვენ ვიცით თუ გამოცდილი და სახელოვანი ლიტერატორები ცოტაა ქუთაისში, სამაგიეროდ ქართველი ახალგაზრდობა ძალზე ბევრიც და ამ ბევრში ნახევარზე მეტი მაინც ეტანება ქართულ მწერლობას.

ხოლო, როცა ქუთაისში დაარსდება განსაკუთრებული „წრე" განსაკუთრებული „საზოგადოება" რომლის მოვალეობასაც სამწერლო ძალთა შეკრება, დახმარება, და გამხნევება იქნება ყოველი ახალი წევრი მეტის გაბედვითა და ხალისით მოეკიდება თავის საქმეს და მით ადრე თუ გვიან გაჩნდება მთელი რაზმი მწერლებისა.

ეჭვი არ არის, რომ ეს „საზოგადოება" უნდა იყოს ყოველივე პარტიას გარეშე და ყველა მიმართულების მწერლებს უნდა მისცეს გზა განვითარებისა და საშუალება პირნათლად სამსახურისა.

ჩვენში არსებულ რედაქციებისა და მათი ჯგუფების დანაშაული ის არის, რომ ყველას თავისი საკუთარი მოთხოვნილება აქვს მწერლებისადმი და პარტიულ დარაჯებში ატარებენ არა მარტო პუბლიცისტ-კორესპონდენტებს, არამედ თვით მგოსან ბელეტრისტებსაც. პარტიული ბეჭედი კი გარდა იმისა, რომ აკნინებს ავტორთა შემოქმედებას, ფრთას აკვეცს მათ აღმაფრენას და საშუალებას უსპობს სავსებით გამოსთქვან თვის გულის ნადები (გაიხსენეთ მგოსნები ვ. რუსაძე, ჩხეიკვაძე და სხვანი) სთიშავს და აშორებს კიდეც ერთი მეორეს ახალგაზრდა მწერლებს და ვერა მყარდება მტკიცე ნიადაგი, მტკიცე საძირკველი იმ უსაჭიროეს, შენობისა რომელსაც სალიტერატურო ოჯახი ჰქვიან და ურომლისოდაც — შეუძლებელია შემუშავდეს სალიტერატურო ენა და ტრადიციები...

სწორედ ამის მიზეზია, რომ დღეს ჩვენი სამწერლო ენა ძალზე ჭრელია და ხშირად მოიჩიქორთულებს. რამდენადაც ჩვენ ვიცით რუსული მხატვრული ენა დაიმუშავეს განსაკუთრებულმა „სალიტერატურო წრეებმა" და ამავე წრეებმა შეჰქმნეს სამწერლო ტრადიციებიც.

## ავადმყოფი უცხოეთში.

### მონოლოგი.

ოჰ! რა რიგ მეხუთება საბრალოს სული, როგორ მიჰქნება ნელ-ნელ უიმედოთ გაფითრებული სახე. დედავ, დედავ: დააღე ფანჯრები იქნებ ნიავი შემოფრინდეს და თვისი ცელქი სიმარდით უკანასკნელად მითხრას ამბავი შორს მიტოვებულ ჩემ სამშობლოისა... ნეტავ როგორ არის ეხლა ჩემი სამშობლო. ნუ თუ არ უყურებს თვის ულირს შვილის წამებას, როგორა ხდება სული... სად არის იმედი, მესაიდუმლე ჩემი წუთიერ ტანჯვისა, რომ უკანასკნელად ავუხსნა სულის წყლულები..

სად არის ეხლა ჩემი ტოლ ამხანაგები, დედა, მამა!... ეხ! მათ აქ ვერავის ვერა ვხედავ, უცხო ხალხთა შორის, მხოლოდ მარტო მე ჩავარდნილვარ და უცხოეთშივე ვესალმები სიცოცხლის უკანასკნელ წუთებს.

სად არის ეხლა ჩემი ია ვარდის სამშობლო.

ეხ! როგორი სიამით მაგონდება ჩემი გაჭირვებული სიცოცხლე, შვება, ნეტარება.

ოხ! სამშობლო, ჩემო ღრეთო! მომაგონდები და ჩემი დაღლილი სული ფრთებს ისხამს მადაური სიამის სხივი, ტანჯულ წამები თამაშობს... ჩემო სამშობლო! ვინ ასწერს შენს სიტურფეს ვისი კალამს დახატავს შენს აფერადებულ სახეს. ჩემი სამშობლო — ეს ხომ მთელი პოეზია, ეს მზის სხივია, მთვარის შუქია, მეტეორთა ჯარია, გაბრწყინებულ გალაღებულ დედა მიწის ქოსზე. აი სად არის ჩემი სამშობლო, აი იქ, იქ სადაც ერთმანეთს გადახვევია კავკასიონის მთათა წვერები... იქ სადაც ამაყად აყუდებულა ხომლის-თვალუწვდენი კლდეები და ზეციდან გატაცებული გადაჰყურებენ რიონის ხეობას... აი იქ, იქ,.. ყველაფერი ნათლად მეშლება.. იქ მსწრაფლად კლდეებზე მხტომი ცელქი ნაკადულები, რიონის ჩქარი დუდუნი, იქ გაშოლტილ გზაზე მეურნეთა წმინდა ძახილი, გალაღებულ მთებში მონადირის კოხტა კივილი და შორს ძლიერ შორს კივილი დაჭრილი ორბისა. და ეს ყველაფერი ჩემო სამშობლო ხომ შენი ბუნების ქორწილია ქორწილი, რომლის ხილვას თუ ველირსები ნეტავ კიდევ. ეხ! არა მგონია არა; გრძნობა მიკვდება და ეჭვები მებრძოლებიან: „ტანჯვაში დაბადებულხარ, ტანჯვაში უნდა სული ამოგხდესო."

ოხ ჩემო სამშობლო! ვა, თუ ველარ ვიხილო შენი მწვანე ხავერდის მთები, მომხიბვლელი ბუნება... შორს უცხოეთში უცხო მესაფლავე სამარეს გამითხრის, უცხო ადამიანები მიმაცილებენ სამარის კარამდის. უცხო მეკუბოე მიწას წამაყრის შავ-ბედით დატყვევებულ გულზე. ჩემ კვნესას აქ ბოლო, მოეღება. აქ ვერ დამიტირებენ ჩემი მშობლები ჩემი ნაცნობ-მეგობრები, აქ ვერ მოვა ჩემი სულის სწორი და ვერ დამამფრქვევს სიყვარულის ცრემლებს.

ევ. სიდამშვილი.

## მსოფლიოს ერთობა.

შემდეგი იხ. „სამშობლო" № 474.

### ორგანიულისა და არაორგანიულის ერთობა.

წინა წერილში ვისაუბრეთ არაორგანიული ბუნების ერთობის შესახებ და აღვნიშნეთ, რომ გაუვალი შუაზღუდეები, ერთი მხრით, ფიზიკურსა და ქიმიურ მოვლენათა შორის, მეორე მხრით კი ქიმიურ ელემენტთა შორის არ არიან. ელექტრონი, და მზის სინათლე და რადის, ურანის, ტორისა და სხ. ატომთაგან მოწყვეტილი კორპუსკულები — ნათესავ მოვლენათა რიგს წარმოადგენენ. მეორე მხრით, ელემენტების თვისებანი დამოკიდებული არიან, მათს წონაზე და იმავე დროს ელემენტები იცვლებიან, ერთმანეთად იქცევიან (უკანასკნელი მოვლენა მხოლოდ ზოგიერთი ელემენტის შესახებ არის დამტკიცებული).

ახლა გამოვიძიოთ, არის თუ არა გაუვალი შუაზღუდე არაორგანულს და ორგანიულ ბუნებას შორის?

ცოცხალი ორგანიზმი, ანუ სხეული, როგორც ვიცით, შესდგება ეგრეთწოდებული უჯრედებისაგან. თუმც უჯრედებს მიკროსკოპიული სიპატარავე მოეპოვებათ, მაგრამ ცოცხალს პირველყოფილ ორგანიზმებს წარმოადგენენ. ჩვენ თუ ვგრძნობთ, ვაზროვნობთ და მოძრაობთ, მიტომ, რომ თვითეული უჯრედი გრძნობს, აზროვნობს და ემოძრაობს. არიან ერთ უჯრედიანი ორგანიზმები. და მაღალი ცხოველის ტანი ხსენებულ უჯრედთა შენაწევრებულ კრებულს წარმოადგენს

იმავე დროს მაღალი ცხოველის უჯრედი არსებითად ცოტათი განსხვავდება ერთუჯრედიანი ორგანიზმისაგან.

მეორე მხრით, ერთუჯრედიანი ორგანიზმები, ცხოველები თუ მცენარეები, რასაკვირველია, ძლიერ უახლოვდებიან არაორგანიულ ბუნებას მით, რომ უფრო დამოკიდებული არიან გარესკნელზე, ვიდრე მაღალი ცხოველები. მაღალ ცხოველებს ძალუძსთ გარესკნელი თავის მიზნისადაგვარად შესცვალონ, ერთუჯრედიანი ცხოველი კი თვითონ უნდა მოემარჯვოს გარესკნელს, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი სიკვდილი აუცილებელია. მართალია, მას აქვს წინააღმდეგობის უნარი, მაგრამ ამგვარი უნარი უბრალო ქვასაც კი აქვს. მაშასადამე, უბრალო ერთუჯრედიანი ცხოველი ამ მხრით უსულო ნივთს მოგვაგონებს. და უკვე ეს გვაიძულებს არ აღვიაროთ გაუვალი შუაზღუდეები ცოცხალ ორგანიზმებსა და უსულო ნივთებს შორის.

მეორე, მართალია, ზოგიერთს ერთუჯრედიან ცხოველს ნერვი და, მაშასადამე, გრძნობის ნასახი მოეპოვება, მაგრამ არიან ისეთი ერთუჯრედიანი ცოცხალი ორგანიზმები, მაგალითად, ბაქტერიები, რომელთა მგრძნობიერობა თითქმის არარსად შეგვიძლია აღვიაროთ, და, ასე გასინჯეთ, უფრო განვითარებულის ერთუჯრედიანი ცხოველის, რომელსაც ნერვიული სისტემა არ მოეპოვება, მგრძნობიერობაც კი საეჭვოდ უნდა ჩავთვალოთ.

ერთი რამეა აღსანიშნავი. ცხოველს აქვს ავტომატიური მოძრაობა, ე. ი. თავისი შინაგანი ძალების მიერ წარმოშობილი მოძრაობის უნარი, რომელიც უსულო ნივთებს არ მოეპოვებათ. მაგრამ ბევრი ბაქტერია უძრავია. და, თუ შინაგანს, მოლეკულურ მოძრაობას ყურად ვიღებთ, ამ გვარი მოძრაობა ხომ რადის ატომსაც აქვს — რადგან ეს ატომი უწონასწოროა, — და, როგორც ცოცხალი უჯრედის შინაგანი მოძრაობა შობს სიცოცხლეს, აგრეთვე რადის ატომის კორპუსკულების მოძრაობა შობს რადის სხივებს.

თუ გვინდა რომ ჩვენც ოდესმე მაინც მივაღწიოთ ერთი სალიტერატურო ენის დამყარებას, აუცილებლად უნდა შევქმნათ წრეები, საზოგადოებანი და მათის შეოხებით, დავაფუძნოთ ერთი მტკიცე და შეურყეველი კილო წერისა...

ესევე „ლიტერატორთა საზოგადოება“ იზრუნებს ძველ თუ ახალგაზდა მწერალთა სვე-ბედსა და ქონებრივ ყოფნაზე.

მოგეხსენებათ, რა გაჭირვებაშიაც იმყოფებიან საზოგადოდ ჩვენი მწერლები, რომელთაც არამც თუ ინტელიგენტურ მოთხოვნილების დაკმაყოფილება არ შეუძლიათ, ხშირად ლუკმა პურიც კი არა აქვთ ხოლმე.

ესევე „საზოგადოება“ გამოსცემს მწერალთა ნაწარმოებს და იგი აღარ ჩაუვარდებათ ხელში კერძო-გამომცემლებს, რომლებიც თავიანთ წუწუნითა და ხრიკებით სასაცილო ფასებში იღებენ ამა თუ იმ მწერლის თხზულებას გამოსაცემად და თანაც აყვედრიან ხოლმე.

ერთის სიტყვით, „ლიტერატორთა საზოგადოება“ შეიქმნება პატრონად და ხელმძღვანელად კალმის კაცისა და ბევრი დღეს შემთხვევით მწერალი, გარდაიქცევა პროფესიონალურ მწერლად, რაც ერთი სამათ და ერთი ოთხად გაამდიდრებს ქართულ ლიტერატურას.

ჩვენ აღვნიშნეთ, ასე ვსთქვათ უმრავლესი მოვალეობანი „ლიტერატორთა საზოგადოებისა“. რაც შეეხება დეტალების შემუშავებას, ეს უნდა მიენდოს წინასწარ კრებაზე არჩეულ განსაკუთრებულ კომისიას.

წინასწარი კრება კი მოხდება მაშინ, როცა საკმაო რიცხვი მსურველთა გამოგვეხმაურება და თვით დანიშნავენ კრების დღეს...

ია ეკალაძე.

## დაწყვეტილი სიმები.

### ირ. ევდოშვილის ხსოვნას.

გარდაცვალებიდან ნახევარი წლის შესრულების გამო

დაიმსხვრა ჩანგი, დაწყდა სიმები, მიტირის გული, ქვითინებს ქნარი,
სული ვალალებს მგოსნის დაკარგვით, აღარ მშორდება ფიქრი საზარი!
კაეშანთ გუნდი გარს მეფინება, ყურში ჩამძახის სევდათა რიგი:
„გაცივდა გული მოსიყვარულე, მზესავით წმინდა, აღარ არს იგი“...
მგოსანსა შრომის, მეუფეს ჩანგის ღვთიურ სახეზე შეახმა ღიმი,
დაიმსხვრა ქნარი, ევოლოსისა, შესწყდა აკორდი, ოჰ კვნესის სიმი!!

ბ. ოდიშელი.

# ახალი ამბავი.

✦ მისი იმპერატორობითი უმაღლესობა კავკასიის მეფის ნაცვალი, დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე იმ პირთა და დაწესებულებათა, საგულისხმოთა, რომლებთაც განზრახული აქვთ წერილობით თუ დეპეშით მიულოცონ მის იმპერატორობით უმაღლესობას დაბადების დღე, (6 ნოემბერი) აცხადებს, რომ ნუ აგზავნიან ასეთ დეპეშებს, რადგან მისი უმაღლესობა საპ ტიო საქმეების გამო პოზიციაზეა

✦ თბილისის ქალაქის თვითმართველობის შენობაში, საღამოს რვა საათზე დანიშნულია საბჭოს სხდომა, სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხების გასარკვევად.

✦ დღეს შუადღის თორმეტ საათზე, ქალაქის თეატრში სახალხო უნივერსიტეტის თაოსნობით გაიმართება კ. ფოცხვერაშვილის სიტყვა-მუსიკობა, ორ დიდ განყოფილებათ.

✦ ვინაიდან ფოსტა ტელეგრაფის კანტორებში დიდ ძალი ამანათები გროვდება გასაგზავნათ, ამის გამო შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოსცა ახალი განკარგულება, რომლის ძალით ხსენებული ამანათები არ შეიძლება ინახებოდეს ფოსტის კანტორაში ორ დღეზე მეტს, წინააღმდეგ შემთხვევაში თითო ცალ ამანათზე გამგზავნელს გადახდება შესანახი დღეში 10 კაპ. ეს განკარგულება ვრცელდება აგრეთვე იმ ამანათებზედაც, რომლებიც იგზავნებიან სახელმწიფო დაწესებულებათაგან.

✦ ერთი სასარგებლო საქმის გამო ამ უკანასკნელ ხანებში ქართველ ისრაელთა ახალგაზდობაში ძალიან მკაფიოდ გამოირკვა სურვილი ისრაელთა უბანში გაიხსნას წიგნთსაცავ სამკითხველო. იმედია მთელი ქართველი ისრაელები და წ. კ. გ. საზოგადოებაც თანაგრძნობითა და სიხარულით მიეგებება ამ ახალგაზდათა სურვილს და ყოველ მხრივ ხელსაც შეუწყობს.

შუამდგომლობა. სოფელ სადემეტრაოს (ქუთ. მაზ.) მცხოვრებნი: სერგო ლილუაშვილი, ლავრენტი და არტემ გძელიძეები შუამდგომლობენ ქუთაისის გუბერნატორის წინაშე, რომ ნება დართონ გახსნან მომხმარებელი საზოგადოება სახელწოდებით „მეგობარი“.

✦ ომიანობის დროს გაწეული უანგარო შრომისათვის დაჯილდოებული იქმნა წმინდა ანნას მეორე ხარისხის ჯვრით ქუთაისის ქალაქის თავის მოადგილე ბ. მოსიძე, წმ. სტანისლავის მესამე ხარისხის ჯვრით, თბილისის, მიხაილოვის საავათმყოფოს უმცროსი ექიმი საყვარელიძე და ქუთაისის მაზრის უფროსის თანაშემწე პროკოფი მესხი

✦ ქალაქ რევლიდან გვატყობინებენ, რომ იქ 18 ოქტომბერს, სრულიად რუსეთის ქალაქთა კავშირის საავათმყოფოში სახადით გარდაცვლილა ქართველი ჯარის კაცი ვარლამ დავითის ძე ბუალავა. მისი ამხანაგი აცხადებს მშობლებთა საყურადღებოთ, რომ მშობლებს შვილის ნივთების მიღება შეუძლიათ შემდეგი ადრესით: ქალ. რეველი, კანცელარია სრულიად რუსეთის ქალაქთა კავშირისა.

✦ დღეს ქ. ფოთში ცნობილი ლექტორი ალ. გარსევანიშვილი წაიკითხავს ლექციას „ფინლიანდიის ლიტერატურაზე“. ლექციის დროს შესრულებულ იქნება ორკესტრის მიერ ფინლიანდიური სიმღერები.

✦ სამხედრო სამინისტრო ატყობინებს სახალხო განათლების სამინისტროს, რომ ჯარში გაწვევისაგან დროებით შეიძლება განთავისუფლებულ იქნან სტამბებში მომუშავენი, რომელშიაც მზადდება სასწავლო ნივთები. ხსენებულ სტამბებში მომუშავეთა შორის შესაფერი მოწმობის წარდგენის შემდეგ შეღავათი მიეცემა ისეთ პირებს რომლებიც ითვლებიან სპეციალისტებათ.

✦ სახალხო განათლების სამინისტროს განკარგულებას თანახმად, ის მასწავლებლები, რომელნიც გადმოხვეწილნი არიან მტრის მიერ დარბეულ ადგილებიდან მიიღებენ დამატებით ჯამაგირს 50%-სახით.

✦ 4 ნოემბერს დასავლეთ საქართველოს მთავრობის აგრონომი ა. მ. ვასილევსკი გაემგზავრა სამეგრელოში საერობო აგრონომიულ პუნქტების სარევიზიოთ, ხობში სამეურნეო პრაქტიკულ შკოლის დაარსების საკითხის გამოსარკვევად და ჩაის დასამზადებელ ქარხნისათვის ალაგის ასარჩევად

✦ რკინის გზის კოოპერატივი: ქუთაისის რკინის გზის მოსამსახურეთა კოოპერატივმა სავაჭროსთან ერთად ამ დღეებში გახსნა პურის საცხობი ფურნე

---

**შეცდომის გასწორება.**

ჩვენი გაზეთის გუშინდელ (ფელეტონის: და სოლომონ დოდაშვილი) მეოთხე სვეტში დაბეჭდილია „კალმოსნობის“ ავტორი „ივანე სელოშვილი“ უნდა იყოს ივანე ხელოშვილი

---

**სოფლად და ქალაქად.**

— სოფელ ზორბეთში (შორ. მაზრა) 22 ოქტომბერს ავაზაკებმა გაუტეხეს სახლი იოსებ ნადირაძეს. წაიღეს საოჯახო ავეჯეულობა, ტანისამოსები ღირებული 1500 მანეთამდი და მიიმალნენ.

— სოფ. ტობანიერის (ქუთაისის მაზრა) მცხოვრებლებმა შუამდგომლობა აღძრეს სახალხო დირექტორის პირით ოლქის მზრუნველთან, რათა ხსენებულ სოფელში გახსნილ იქნას უმაღლესი პირველ დაწყებითი სასწავლებელი. მცხოვრებლებმა შკოლისათვის დაუთმეს საზოგადოების კანცელარია, იყიდეს სახლი ინსპექტორისათვის და შეიძინეს შკოლისათვის საჭირო ავეჯეულობა, შეიტანეს აგრეთვე ბანკში შკოლის ხარჯებისათვის 3500 მანეთი. ელიან მხოლოდ ნებართვას.

— სოფელ თამაკონის ორ კლასიან სამინისტრო შკოლის საპატიო მზრუნველად ოცისთავებმა აირჩიეს თ. დი ნიკოლოზ ევგენის ძე დგებუაძე.

— ს. თეკლათში (სამეგრელო) მოჰკლეს ცნობილი ყაჩაღი ლადო გუგუნავა, მასთან ერთად დასჭრეს და შეიპყრეს მეორე ყაჩაღი გარუჩავა.

— ფოთში ნავთის ნაკლებობაა.

# სოფლის მეურნეთა და კოოპერატივთადმი.

ამ თვის 21-ს თფილისში შეიკრიბებიან სამეურნეო საზოგადოებათა წარმომადგენლები ჩვენი მხრის სხვადასხვა სამეურნეო საჭიროების შესახებ მოსალაპარაკებლად ამ კრებას სხვათა შორის ქუთაისის სამეურნეო საზოგადოების წარმომადგენელიც დაესწრება.

საჭიროა, ჩვენს წარმომადგენელს მივაწოდოთ უეჭველი ცნობები ქუთაისის გუბერნიის სამეურნეო ეკონომიური მდგომარეობის შესახებ, სახელდობრ: რა მდგომარეობაშია თესლეულობის, შინაური ოთხფეხისა და ფრინველის ჭირისა და სხვა სენთაგან მკურნალობის, სამეურნეო იარაღების გავრცელების, ხილის აბრეშუმისა და სხვა ჭირნახულის განაღდების, მიმოსვლის, სამეურნეო სწავლის გავრცელების, ხალხისა და საქონლის გამოკვებისა და სხ. საქმეები.

სასურველია, რომ სოფლის მეურნენი და კოოპერატივთა წარმომადგენელნი ამ თვის 18-ს ქუთაისში სამეურნეო საზოგადოების კრებას დაესწრებოდენ და ხსენებულ ცნობებს მოგვაწოდებენ.

საჭიროა ერთმანეთს აზრი გავუზიაროთ და საზოგადო დირექტივები ერთად დავადგინოთ. იმედია, ჩვენს მოწოდებას ყურად იღებენ და გულგრილად არ მოეკიდებიან.

ქუთაისის სამეურნეო საზოგადოების საბჭოს წევრი ვასილ წერეთელი.

# ბინის საკითხი.

დღევანდელი ზღაპრული სიძვირე მთელი თავისი სიმძიმით ისე არავის არ აწვება კისერზე, როგორც მომხმარებელს ვისაც კი რაიმე მოეპოება გასასყიდათ ყველა თავის სურვილისამებრ ფას ადებს საქონელს. ავიღოთ თუნდა სოფლის ნაწარმოები: სოფლიდან შემოტანილმა სანოვაგემ ფასი ერთი ათად მოიმატა. რომ შეეკითხო გამყიდველს სიძვირის მიზეზი, მაშინვე წუღლისა, ჩითისა და სხვა ქარხნის ნაწარმოების გაძვირებაზე მიგითითებს. ვაჭარი ომიანობას ასახელებს მიზეზად. ამგვარათ, ყველა გამყიდველი მომხმარებელს აწვება კისერზე არავინ არაფერს არ იკლებს: მოვაჭრეს სანოვაგის გაძვირება არ ენაღვლება, რადგან თავის საქონელში აიღებს მომატებულს მომხმარებლისაგან. ერთი სიტყვით ყველაზე უფრო უნუგეშო მდგომარეობაში მომხმარებელი რჩება.

საყოველთაო გაძვირებამ მადა აუშალა სახლის პატრონებს და იერიში მიტანეს თავის მდგმურებზე. მართალია, ბინის საკითხის შესახებ ბევრი საყურადღებო წერილი დაიბეჭდა რუსულსა და ქართულ პრესაში, მთავრობამაც ჯეროვანი ყურადღება მიაქცია ამ საკითხს და, ცოტა თუ ბევრათ, კომისიების დაარსებით, ეს საკითხი მოაწესრიგა სხვა ქალაქებში. მაგრამ ამ მხრივ ქუთაისში არაფერი საყურადღებო არ გაკეთებულა. მართალია ისიც, რომ მთავრობამ განსაკუთრებული კანონი შეიმუშავა ბინის მეპატრონეთა შესახებ, რომ სახლის პატრონს არ შეუძლია ქირა მოუმატოს, ან მდგმური დაითხოვოს, მაგრამ ამ კანონის ასრულებას ვინ აქცევს ყურადღებას?!

არ ვიცით არსებობს თუ არა განსაკუთრებული კომისია, რომელიც თვალყურს უნდა ადევნებდეს ბინის მეპატრონეთა თავაშვებულებას. თუ არსებობს რატომ თავის მოვალეობას არ ასრულებს და არ იძიებს თუ რა მდგომარეობაში არიან ჩავარდნილი მდგმურები სახლის მეპატრონესაგან. ჩვენ ჯერ არ დავასახელებთ იმ სახლის პატრონებს, რომელნიც მოითხოვენ თავის მდგმურებისაგან ამ ზამთარში ან სახლის დაცლას ან ფასის მომატებას. ჩვენ ჯერ ვიცდით ეგები გონს მოვიდენ და ჩახვდენ თავის უკანონო მოთხოვნილების უსაფუძვლობაში. თუ თავის მადას საზღვარი არ დაუდევს, იძულებული ვიქნებით მათი ვინაობა ვამცნოთ საზოგადოებას და იქ, სადაც ჯერ არას.

ძლიერ კარგს „ინებებს“ ქალაქის თვითმართველობა, რომ ამ საკითხს ჯეროვან ყურადღებას მიაქცევდეს და იხსნიდეს უსახლკარო მობინადრეთ მადა აშლილ სახლის პატრონებისაგან.

მდგმურთაგანი.

# მადლობის წერილი.

როცა პოლონელ ერს საშინელი უბედურება დაატყდა თავს, შეუბრალებელმა ომმა ცეცხლითა და მახვილით გაიარა მთელი პოლონეთი, აუარებელი ქონება გაანადგურა და ხალხი დაარბია და აქეთიქით დაქსაქსა, ქუთაისის საზოგადოებაში დაიბადა სურვილი გამოეთქვა თავისი თანაგრძნობა მრავალტანჯული ერისათვის და ამ მიზნით შეგროვდა ხუთასი მანეთი და ეს ფული შესაფერი თანაგრძნობის წერილთან ერთად გაგზავნილ იქნა მოსკოვში ცნობილ პოლონელ მოღვაწის, პირველი სათათბიროს ყოფილ წევრის ლედნიცკის სახელზე, რომლისგანაც პასუხათ შემდეგი წერილი მოვიდა.

**დიდათპატივცემულნო!**

თქვენმა წერილმა-სალამმა შორეულ საქართველოდან, თქვენმა სიტყვებმა პოლონეთის ერისადმი ცხოველი თანაგრძნობით ავსებულმა, ძლიერ ამაღელვა და აღადგინა ჩემს ხსოვნაში ნათელი მოგონება, რომელსაც მე ვინახავ, როგორც უკეთესს განძს ჩემი ცხოვრებისას.

1906 წ. საერთო მაღალი ენტუზიაზმის და დიდ სასოება-იმედთა ჟამებში მე ვიყავი ალჭურვილი ქართული საზოგადოების დიდი ნდობით. მან მე დამავალა თავის არჩეულთა ჩამოსვლამდე წარმომედგინა ინტერესები ქართველი ერის I სახელმწიფო სათათბიროში, მე ვამაყობ ამ მოგონებით

იგი ჩემი სახელით და აგრეთვე ჩემი მეგობრების და თანამემამულეთა სახელთაც შემოგწირავთ ულრმესს მადლობას, კეთილ გრძნობებისა და ძმური დახმარებისათვის.

ა. ლედნიცკი

# კოტე ფოცხვერაშვილის სიტყვა—მუსიკობის გამო.

ვინ ჩაწვდა პოლონელ ერის ზღვა ტანჯვას? ვინ აათრთოლა მისი გენიის ტყვეობამ? ვის მოესმა მისი ლანდური ამოძახილი, მისი სასოწარკვეთილი ამოყვირილი?

მარტო-შოპენს.

შოპენის სიმფონიები—აი განუწყვეტელი არიები პოლონელ ერისა, რომელნიც ერთსა და იმავე დროს გადმოგვცემენ საშინელ ექსპრესიით ჯოჯოხეთის საზარელ ხმას და სამოთხის უმწვერვალეს სიამეს, უძირო სასოწარკვეთილებას და უნაპირო იწედს სიცოცხლისა და განახლებისა. მაგრამ მეორე იმდენად მაღალი, მძლავრი, სპეტაკი და ჰაეროვანია, რომ გლოვის ხმას ჩრდილავს და იქ, ზევით, ყვავილოვან ეთერში, ეჯაჯგურება სამოთხის კარებს, სწვდება ღვთიურ სიტკბოს იგი ოდნავადაც არ ფიქრობს სიკვდილზე — ეს მისთვის არ არსებობს; მას სწამს მთელი არსებით მარადისობა სიცოცხლისა, უკვდავება სულისა. რომლის განმტკიცებას იგი პოულობს სიყვარულში, ამ სრულ აბსოლუტში. ერის ფიზიკურად მოუძლურება, მისი კვნესა და ტირილი სრულიად უავტორიტეტოა ერის სულთან დამოკიდებით. ერი ფიზიკურად თუ გინდ სრულიად მოეშვეს, მისი სული მაინც მუდამ ცოცხალი და მძლავრია;

ამიტომ საკვირველიც არ არის, რომ ტირილი პოლონეთის ტანჯულ ერისა შოპენის მუსიკაში იხრდილებოდეს და მის სიღრმიდან ამოხეთქავდეს მარტო სიცოც-

---

უჯრედი იზრდება, მაგრამ უბრალო ბროლიც მარილის ბროლი მაგალითად—ხომ იზრდება გამაძლარ მარილხსნილში,

დასასრულ, იქნება იფიქრონ, ცოცხალი უჯრედი ისეთი ქიმიური ელემენტებისაგან შესდგება, რომელნიც უსულო ბუნებაში არ არიანო?! მაგრამ არა! ცოცხალი უჯრედი შემდეგი თექვსმეტი ელემენტისაგან შესდგება: ნახშირბადა, წყალბადა, ჟანგბადა, არგონი, აზოტი, ქლორი, ფტორი, იოდი, გოგირდი, კალი, ნატრი, კაჟისბადა, მაგნი, კალცი, რკინა და ფოსფორი. ზოგიერთ უჯრედში არიან კიდევ მანგანეუმი, ბრომი, ცერი და სხ.

ერთი სიტყვით, ცოცხალ უჯრედში არ მოიპოება არცერთი ისეთი ელემენტი, რომ უსულო ბუნებაშიაც არ იყოს.

უჯრედის ტანს ქიმიურად ეწოდება პროტოპლაზმა, ანუ პირველყოფილი წვენი.

ცოცხალი პროტოპლაზმის 80% უბრალო წყლისაგან შესდგება. დანარჩენი 10% უმთავრესად — ეგრეთწოდებული ცილებისაგან. ცილები კი უმთავრესად ნახშირბადის, ჟანგბადის, აზოტისა და წყალბადისაგან შესდგებიან

პროტოპლაზმაში არიან აგრეთვე ქონები და ნახშირწყლები. ქონი გლიცერინისა და ქონის სიმჟავეთაგან შესდგება.

არიან აგრეთვე არაორგანიული მარილები, უფრო ქლორიდები (ქლორის ნატრი, ქლორის კალი და ქლორის ამმონი), ნაკლებად კალის, ნატრის, მაგნის, ამმონისა და ნახშირის სიმჟავის, გოგირდის სიმჟავისა და ფოსფორის სიმჟავის კალცის მარილები.

მაშ რას მივაწეროთ პროტოპლაზმის ის საკვირველი თვისება, რომელსაც ეწოდება სიცოცხლე? ატომთა რთულ შენაწევრებას, შეერთებას, ანაგებს. როგორც უსულო ბუნებაში სხვადასხვა ელემენტი ერთმანეთისაგან ატომთა შინაგანი ანაგებით განსხვავდება, აგრეთვე ცოცხალი უჯრედის პროტოპლაზმა უსულო ბუნებისაგან ატომთა კრებულის, ანუ მოლეკულის, ანაგებით განირჩევა.

განვიხილოთ, მაგალითად, ის რთული ცილი, რომელიც წითელ ფერს აძლევს სისხლის წითელ ბურთსა და ეწოდება ჰემოგლობინი. აი მისი ქიმიური შედგენილობა: ნახშირბადა შეადგენს მთელი ცილის 51,15%, წყალბადა 6,76%, აზოტი 17,09%, ჟანგბადა 21,425%, გოგირდი 0,398%, რკინა 0,336%.

ამგვარად ჰემოგლობინი უბრალო ელემენტების განსაზღვრულ რაოდენობათა შენაწევრებას წარმოადგენს (წითური ფერი რკინისგან აქვს).

მაგრამ ელემენტების პროცენტური შედგენილობის განსაზღვრა არა კმარა, რომ წარმოვიდგინოთ მოვლენის სირთულე. სხვადასხვა მეთოდის საშუალებით, რომლის აღწერასაც აქ არ შევუდგები, გამოიანგარიშეს, რომ ჰემოგლობინის თვითეული მოლეკულა შესდგება შემდეგი ატომებისაგან: ნახშირბადის ატომი 712, წყალბადის ატომი 1130, აზოტის ატომი 214, ჟანგბადის ატომი 245, გოგირდის ატომი 2 და რკინის ატომი ერთი. ($C_{712}H_{1130}N_{214}O_{245}S_2Fe$). და, თუმცა ხსენებული ანალიზი ცხენის სისხლის ჰემოგლობინს შეეხება, მაგრამ, დაახლოებით, იგივე შედგენილობაა გულებული, როგორც სხვა ცხოველების, აგრეთვე კაცის ჰემოგლობინისთვისაც.

საზოგადოდ, ამგვარია ცილის მოლეკულის ანაგების სირთულე.

ცილი სხვადასხვაგვარია: უფრო მარტივი და უფრო რთული. დიდ მნიშვნელობას აძლევენ ეგრეთწოდებულ პლასტინს, რომელიც არ გაიხსნება წყალში და საშუალო რეაქციის მარილებში (10%-მდის) და რომელსაც ვერ ინელებენ აგრეთვე კუჭისა და წვლების საფუარები. ალბად პლასტინი, ეს რთული ცილი, შესაძლებელჰყოფს პროტოპლაზმის გაუდნობელობას, ე. ი. სიცოცხლესა და განვითარებას.

მაგრამ პლასტინი თავისი მხრით შესდგება უფრო მარტივი ცილისა და სხვა ორგანიული ნივთიერების ქიმიური შეერთებისაგან.

რით განსხვავდება ცოცხალი პროტოპლაზმა მკვდარი პროტოპლაზმისაგან? ეს ჯერ გამოუცნობელი საიდუმლოა. ვიცით მხოლოდ, რომ ცოცხალი პროტოპლაზმის მოლეკულა უფრო რთულია, ვიდრე მკვდარი პროტოპლაზმისა, და უკანასკნელი პირველის დაშლის შედეგია. მეორე მხრით, ცოცხალი პროტოპლაზმის მოლეკულაში ჟანგბადა ნაკლებია, ვიდრე მკვდარი პროტოპლაზმის მოლეკულაში და, მაშასადამე, ჟანგბადას ცოცხალი პროტოპლაზმის მოლეკულა უფრო იზიდავს, ვიდრე მკვდარი პროტოპლაზმისა.

ცოცხალი პროტოპლაზმის ანაგებს აქ დაწვრილებით არ შევეხებით. ვიტყვით, მხოლოდ, რომ მისი გული წარმოადგენს ბენზოლს, რომლის ზოგიერთი რტო რთული ნახშირწყლებისა და ქონებისაგან შესდგება, ზოგიერთი რტო კი რთულ აზოტიან ნივთიერებათაგან, რომლებშიაც აზოტი ჟანგბადით გამაძღარი არ არის.

ვასილ წერეთელი.

(შემდეგი იქნება.)

ხლე-განახლებისა ჰანგები. ერის გენია ფენიქსია. შოპენი-აი არის ფენიქსებრ განახლებულ გენიის განკაცება.

დამეთანხმებით, რომ ქართველ ერის ორგანიზმი თავის იღბლით არა მარტო მოგვაგონებს პოლონელ ერს, იგამედ გაცილებით შორს მიდის. ქართველი ერის წყლულები უფრო ღრმაა და მისი ტანჯვა შეუდარებლად მეტი ჯოჯოხეთურია. მაგრამ ეს გარემოება ქართველის სულის, როგორც პოლონელის, სრულიად არ ატირებს. პირიქით, უსაზღვრო იმედით აღჭურვილი იგი მიმღერის განახლებისაკენ. ეს მღერა, ეს განცდა სრული აბსოლუტისა ქართველი ერის მიერ რამდენად მაღლა სდგას პოლონელ ერისაზე, ამას კარგათ გვითალისწინებს უმწვერვალესი განვითარება ქართული ხალხური მუსიკისა. ჩვენ დავინახეთ განახლების პირველი გვერდი. ჩვენ მოგისმინეთ „თქმულება ამირანზე“. ჩვენ განვიცადეთ სიამე სამოთხის სიტკბოებისა. ჩვენ გავეცანით ბაგრატის ნანგრევების, გელათის, მცხეთისა და კიდევ ბევრის უსიტყვო მოთქმას. და ეს ამგვი დაგვდო დიდათ პატივცემულმა კ. ფოცხვერაშვილმა.

რაჟდ. გოგოხია.

## ქართლის დღევანდელი ვითარება.

დღეს საერთაშორისო ომია. ომი, რომლის მსგავსი ჯერ ისტორიას არ ახსოვს. თანამედროვე უმაგალითო კატასტროფამ დიდი დაღი დაასვა, როგორც დიდს ისე პატარა ერებსაც. ამ საერთო უბედურების ქარცეცხლს არც ჩვენი კეკლუცი სამშობლო საქართველო გადაურჩა.

დიახ, არ გადაურჩა და ისედაც დამონებული, დღეს უფრო დაიჩაგრა...

ყოველივე ამას უფიქრდები და ძალაუნებურად ეკითხები შენს თავს: ნეტავ როდემდის უნდა გასტანოს ასეთმა დუხჭირმა ცხოვრებამ, ნუ თუ ბოლო არ მოეღება ყოველივე ამას!... მაგრამ მიდიან დღეები, კვირეები, თვეები და კვლავ ერთს საშინელ სურათს, უფრო უარესი ემატება...

ჯერ ომამდის რა იყო ჩვენი ქვეყანა და დღეს, როდესაც მის გავლენის ქვეშა ვართ, რა იქნება!..

მე მინდა ამ წერილში გავაცნო მკითხველს ქართლის დღევანდელი ვითარება, თუ რამდენად ჩამორჩენილია ის თანამედროვე მაჯის ცემას, როგორც ეკონომიურად ისე კულტურულად.

დღეს ყველასათვის აშკარაა, რომ საქართველოს ერთი ნაწილი გაცილებით უკანაა ჩამორჩენილი თანამედროვე ცხოვრების გზაზე, ვიდრე მისი მეორე ნაწილი. ქართლი — ეს ჩვენი ქვეყნის გული, ერთხელ მოწინავე დროშის მატარებელი, მუდამ ფხიზელი და მკვირცხლი, დღეს რამდენიმედ წაბორძიკებულა, და თითქო ერთ ადგილზე გაყინულა. მისი ეკონომიური და გონებრივი განვითარება კუს ნაბიჯით მიდის წინ. რამტომ ხდება ასე? ნუ თუ ქართლელები ისეთი დაუდევრები და უენერგიო არიან, რომ იმერლებმა, გურულებმა და მეგრელებმა გაასწრონ მას!.. არა მგონია.

აქ ძაღლის თავი სხვაგან უნდა იყოს დამარხული.

უმთავრესი მიზეზი ამ საერთო ჩამორჩენისა არის უპირველეს ყოვლისა ბატონყმური ნაშთები; ეს ძველი ცხოვრების ნაშთნი გამქრალა თითქმის ყველგან, მხოლოდ არსებობს ის დღეს ქართლში ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ცხოვრებაში. ის იჭერს და ერთ წერტილზე აყენებს ერის ეკონომიურ განვითარებას და წინ ეღობება საერთო მოძრაობას.

მთელ ქართლის სოფლებს და მის ბრემარეს ბატონი ფლობს ამით ის ფლობს სოფლელებსაც.*) გლეხის სახნავი, სათესი, საბალახო, ტყე, ვენახი — სულ მემამულის საკუთრებაზე სწარმოებს. ეს თავისთავად ცხადია. რომ უმიწოწყლოდ სოფელს ცხოვრება არ შეუძლია და აი ეს მიწაწყალი რამდენიმე კაცის ხელშია მოგროვილი. მას უჭირავს მთელი სოფლის ბღვირ-სადავე და როგორც უნდა ისე ატრიალებს მას. გლეხი ყველაფერში უნდა დაემორჩილდეს ბატონს და თუ რამე უკმეხობას გაუწევს, მაშინ მას სულ სხვა სასტიკი სასჯელი მოელის. რომ უფრო კონკრეტიული შეხედულება ვიქონიოთ ამ საგანზე საჭიროა უფრო ახლო და დეტალურად გავიცნოთ ის.

როგორი ურთიერთობაა ბატონსა და გლეხს შორის?

ქართლს ბევრნაირი წამალი სჭირდება. აიღეთ თუნდ საშინელი დახლართული ურთიერთობა გლეხისა და მემამულეთა შორის. ხშირად შეხვდებით სოფელს, სადაც დროებით ვალდებულია, ზოგი ხიზანი, ზოგი მოლალე და სხ.. ის ათი დღიური ნადელი, რომელიც მიეცათ ეგრეწოდებულ დროებით ვალდებულთ, გამრავლებულმა გლეხობამ ათასნაირად გაიყო, დაინაწილა და დღეს მონადელეს, სამწვადე შამფურივით გაგრძელებული მიწის ზოლი-ღა შერჩა ხელში. მეორე მხრით წარმოიდგინეთ მემამულის მდგომარეობაც. თუ წინათ მას, მაგალითად, საქმე ჰქონდა ხუთმეტიოდე გლეხთან, დღეს სამოცთანა აქვს საქმე. ამასთან თვითეული საქმე რამოდენიმე ჩანახისა და მანეთის ღირებულებით განისაზღვრება.

რაღა უნდა ითქვას მონადელე გლეხზე, რომელმაც ორმოცდაათი წლის განმავლობაში თავის ნადელის ღირებულება რამდენჯერმე გადიხადა და, რასაკვირველია, ფიქრადაც არ მოსდის მისი კვლავ შესყიდვა.

ამ რიგად მემამულე და გლეხი ვერც განშორებულან, ვერც შერიგებულან, ხოლო მტრობა სიძულვილი ერთმანეთისა დღითი დღე მატულობს და ავსებს ბოროტებით ორთავე მხარეს.

ჩვენს ცხოვრებაში არც ერთი საზოგადოებრივი ელემენტი იმდენ შევიწროვებას არ განიცდის, რამდენადაც გლეხი. მას მოვალეობა უთვალავი აწევს, ხოლო ამ მოვალეობასთან სახსენებელიც არაა ის უფლება, რომელიც მას მიენიჭა და რომელიც დღეს თითქმის სრულიად მოსპობილა სხვადასხვა ადმინისტრატიულ განკარგულებათა წყალობით. სამწუხაროთ საზოგადო კანონია, რომ რამდენად ორგანიზმი დასუსტებულია, იმდენად მას ბევრი პარაზიტი ახვევია ამას ამტკიცებს ჩვენი ცხოვრების ფაქტები.

სადაც მემამულე ძლიერი იყო, ფეოდალობას მაგრად ედგა ფეხი, იქ გლეხი მიწასთან გასწორებული იყო, და ამიტომაც მისი გამყვლევიც ბლომად მოიპოვებოდა. შედარებით ძლიერი იყო ფეოდალობა ქართლში და, აი აქ არის ჩარჩების ისეთი ბუდეები, როგორიცაა ცხინვალი, გორი, სურამი, ხაშური და სხ...

ჩვენს ცხოვრებაში ამ ბოლო დროს დიდ როლს თამაშობდა თავად-აზნაურობა. უმეტესი ნაწილი საქართველოს ტერიტორიისა ამ თავად-აზნაურობას ეკუთვნოდა.

თავად-აზნაურობა ყოვლის უწინარეს ნიშნავს მემამულეს. მემამულეობა — კი ნიშნავს უფლებას. ჩვენი დიდი მემამულენიც უხვად სარგებლობდნენ ამ უფლებით და ნელ-ნელა მიყვეს ხელი მამულების დაგირავებას. ამ მოვლენას მეტად გამანადგურებელი შედეგი მოსდევს ჩვენთვის. მამულის დავალიანება, მხოლოდ მაშინ შეიძლება გამართლდეს, როდესაც დაგირავებით აღებული ფული მამულსავე უბრუნდება და ხმარდება მის დამუშავებას. ხოლო, როცა დაგირავებული ფული ქეიფში იფლანგება და ვალი — კი ისევ გლეხებს აწვება თავზე, მაშინ ჩვენ უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ ეს მფლანგავი მემამულენი პირველი ეროვნული ექსპროპრიატორები არიან.

გარ. მანელი.

(დასასრული იქნება).

*) მე მხედველობაში მაქვს ზემო-ქართლი, ზოგიერთ სოფლის გამონაკლისით. 3. მ—ლი.

## პროვინციის ცხოვრება.

**იანეთი.** (ქუთ. მაზრა) აქ ჩამოვიდნენ სოლომონ ხეთერელი და მისი ცოლი უცხოვრებით ავათ, ესენი ორივენი განიკურნენ ავადმყოფობიდან ხოლო მათმა მოტანილმა სენმა იმსხვერპლა სოლომონის და ლიდა და ძმა ბათლომე უკანასკნელი სწავლობდა ქუთაისის სამეურნეო შკოლაში და ერთ საუკეთესო მოწაფეთ ითვლებოდა და იგი უსახსრობის გამოთ დაითხოვეს.. უკანასკნელათ თიანეთის ფოსტაში მსახურებდა უმცროს მოხელეთ, საიდანაც აქ დასასვენებლათ ჩამოვიდა და ძმის მოტანილი სენით მოისპონა სამუდამოთ.

ავადმყოფობა მთელ კუთხეს მოედვა. აქვე მძინვარებს საქონლის საქონლის ჭირი, რომელმაც არა ერთი ოჯახი დასტოვა უხაროთ და მარჩენალი ძროხაც მოუკლა

სიმინდის მოსავალი კარგია, მაგრამ ფასი დიდი აქვს. ორ მანათ ნაკლებ არ ყიდიან ფუთს.

პურის თესვის ამინდი კარგია წელს, მაგრამ რადგან თესლს ვერ შოულობენ ძრიელ ცოტა ითესება. ნეტა რას აკეთებენ ჩვენი მეურნე ინსტრუქტორ აგრონომები?

ი. ხეთერელი.

## რუსეთი.

დონის როსტოვიდან საკუთარი კორესპონდენტი „რუს. ვედომ“. ატყობინებს რომ არმავირი-ტუაპსის რკინის გზაზე პასუხისგებაში არიან მიცემული თორმეტ სადგურთა უფროსებიო. ამ მოხელეთ ქრთამის აღების და სხვა ამგვარ ბოროტ მოქმედობაში სდებენ ბრალსაო.

---

იგივე გაზეთი გვატყობინებს, რომ კიევში სახალხო განათლების დირექტორმა მზრუნველს მოხსენება გაუგზავნა, რომელშიდაც აწერილია სახალხო მასწავლებელთა შევიწროებული მატერიალური მდგომარეობა. დირექტორის აზრით შეუძლებელია რომ სახალხო მასწავლებელს თვეში 50 მანეთზე ნაკლები ჯამაგირი დაენიშნოსო.

---

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს შტიურმერს „რუს. სლ“. სიტყვით განზრახვა აქვს სასურსათო საქმე გადასცეს შინაგან სამინისტროს მუხლის ძალით.

---

ამ დღეებში შუა რუსეთში, 21 ბამბით მოვაჭრე დაუტუსაღებიათ. ამას „ბირჟ. ვედომ“. სიტყვით მოსკოვის მეფართლეებში დიდი აღელვება გამოუწვევია. მიზეზი ყოფილა ის, რომ ფართლეულის ქარხნების რევიზია. მოუხდენიათ და აღმოჩენილა, რომ მოსკოვის დიდ მანიფაქტურთა ფირმებს ბამბის პატრონებისთვის, ბამბის ყიდვის დროს, ნორმაზე მეტი ფასი უძლევიათ.

ანგარიშით სამინისტროს დამტკიცებულ ნიხრზე ფუთზე 2—3 მანეთამდია მიცემული. ჯამით კი ზედმეტი მიცემული ფულისა 40 მილიონ მანეთს უდრის.

---

მოსკოვის სასურსათო კომისიას ხორცის ნიხრი ფუთზე ოცი მანეთი დაუმტკიცებია.

---

„რუს. სლ“. სწერს: ადესაში, ამ დღეებში, გარჩეულა სამხედრო სასამართლოში ფრიად საინტერესო საქმე, რომელიც მშვენივრად ახასიათებს რუსეთის სოფელს.

სამეურნეო გამგეობის ბძანებით პოდოლის გუბერნიაში სასტატისტიკო ცნობების შესაკრებად აუწერიათ სოფლებში. აღწერა მოხდარა წრეულს, ივნისის 25 ს სოფელ დელფინოვის აწერის დროს, ხალხი ისე აღელვებულა. რომ საზღვარს გადასულა და ფიზიკური ძალისთვის მიუმართავს. გამოსულან ჯარში გაყვანილ მამაკაცთა ცოლები და სიების დახევა მოუთხოვიათ. ამ უსიამოვნობის მიზეზი, ის ყოფილა, რომ სოფელში ხმა გავარდნილა — რუსეთში ბატონყმობა ხელახლივ უნდა შემოიღონო. ცნობების შემკრეფთ ხალხი. რაღაც შავ წიგნში შეაქვთო. ვინც იმ წიგნში იქნება ჩაწერილი მათ იქნება ჩარიცხულიო წრის პირველ დღეს ქალები დაუწყნარებიათ; მეორე დღეს კი ქალები შეშებით და ჰოკრებით ხელში გამოსულან. ამათაგან ექვსი მოთავე ქალი პასუხისგებაში მიუციათ

სამხედრო სასამართლომ დამნაშავეთ იცნო ისინი და სამ-სამი კვირის დატუსაღება მიუსაჯა.

## უცხოეთი.

### სერბიელთა დახმარება.

შარშან ოქტომბერში შეთანხმების სახელმწიფოებმა იტალიას მიმართეს და თხოვეს სერბიელთა დახმარება ეკისრათ. დახმარება უნდა მომხდარიყო სამხედრო იარაღით ჩასაცმელ დასახურავით, ყოველივე სურსათით, რაც კი მათ დასჭირდებოდათ. ამგვარი შემწეობის განხორციელება მხოლოდ იტალიას შეეძლო, რადგან მათი დახმარება მხოლოდ ადრიატიკის ზღვით იყო შესაძლებელი, მაგრამ მისი შესრულება არც ისე ადვილი იყო. ეს აპერაცია სამხედრო ფლოტის დიდ დახმარების მოითხოვდა.

პირველში საჭირო იყო ზღვაში მტრის საფრთხის თავიდან აშორება; მეორეთ — უნდა გადალახულ იყო ის ჰიდროგრაფიული არა საიმედო მდგომარეობა, რომელსაც ნავთსადგურები მედუა და დურაცო შეიცავდა: ამ ნავთსადგურთა წყლებში ღრმად მჯდარი გემები ვერ ჩერდებოდენ. იმ დროს, როდესაც იტალიის ფლოტის ერთი ნაწილი და ფრანგების ხომალდები ადრატის ზღვაში მტრისგან დაგებულ მახეს ეძებდენ, ფლოტის მეორე ნაწილი დიდის ენერგიით ნავთსადგურების დარღმავებაზე იყო დაწაფებული, რომ მათ ორთქლმავლების მიღება შესძლებოდათ. ამგვარად მოკლე დროში ალბანელთა ზღვის კიდე, მედუის და დურაცოს შუა იმოდენად დაამუშავეს, რომ ერთი მილიონი ფუთი სურსათი გადაზიდეს,

ამ დროს რომში ცნობა მოსულიყო, რომ გადატანილი სურსათი არ კმარაო. სინამდვილის გამოსარკვევად ალბანეთში ინგლისის მეზღვაური კაპიტანი ლარკინი და სერბიელთა აგენტი ბრისტიჩი გაგზავნეს. ისინი მედუაში გადმოვიდენ, სკუტარი, ალესო, დურაცო დაათვალიერეს და დაადაა. სტურეს, რომ საკმაო სურსათი იყო გადატანილი.

როდესაც სერბიელთა ჯარმა უკან დაიხია, შეერთების სახელმწიფოთა წინაშე ახალი სიძნელე წარსდგა: ადრიატიკის ზღვით იტალიელნი ტყვეების და დაჭრილების გადაყვანას ძლივს ასწრებდენ და ახლა კი მათ სერბიელთა გადარჩენილი ჯარიც უნდა გადეყვანათ. იტალიელთა საზღვაო ძალები დაფაცურდენ: ჯერ უნდოდათ სერბიის ჯარი ტუნში მოეთავსებინათ, ბოლოს კი კუნძულ კორფუზე შეჩერდნენ. რამდენ ათას შეადგენდა სერბიის ჯარი აღნიშნული არ არის. უმრავლესობა კი უნდა დამდგარიყო ვალონში და უმცირესობა დურაცოში. გემებზე დასხდომა უნდა მოხერხებულიყო სანჯოვანე და მედუაში. ამ გადაწყვეტილების შემდეგ სერბიელთა მემკვიდრე პრინცმა ალექსანდრემ ისურვა, რომ ჯარის უმრავლესობა დურაცოში [illegible] რომ ჯარი ნამეტნად არ დაიღლილიყო. აქაც იტალიის მთავრობამ [illegible] შეიწყნარა და შარშან ქრისტეშობისთვის 25 სსერბიის ჯარის გადაყვანა დაიწყო. აპერაციაში მონაწილეობას იღებდენ: 19 იტალიის ორთქლმავალი, 13 ფარანგების, 4 ინგლისის, 3 იტალიის ხომალდები და უფრო მომცრო ორი ინგლისის და ერთი საფრანგეთის გემები.

ამ ჯარის გადატვირთვის შემდეგ კიდევ სერბიელთა ცხენოსანი ჯარი დარჩა გადასაყვანად. 14 მარტს მათი ვალონში გადაყვანაც დაიწყო. ორჯერ მგზავრობა სამხედრო ფლოტის ყურადღების ქვეშ მოხდა და გზა-გზა ტრალერები იყო დაყენებული, რომ ავსტრიის წყალთა ქვეშ ნავებს რაიმე ზარალი არ მიეცა.

ეს ძნელი აპერაცია კარგად გათავდა. თუმცა ავსტრიიდან დიდი საცთურის მოლოდინში იყვნენ ადრიატის ზღვაც ხელს არ უწყობდა, მაგრამ ჯარის გადაყვანა ისე შესრულდა რომ სერბიელთ ერთი კაციც არ დაჰკლებიათ.

აი ამაში გამოიხატა იტალიის შეთანხმების სახელმწიფოთა მხრივ სერბიელთა დახმარება. („ბირჟ ვედ.“).

რედაქტორი **ი. ცინცაძე.**
გამომცემელი ამხან. „**სამშობლო**“




## რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).
ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | დილის | 7 ს. 25 წ. | |
| „ | სალამ. | 8 ს. 50 | „ |
| ბათომიდან | დღისით | 12 ს. 40 | „ |
| „ | ღამის | 2 ს. 20 | „ |
| ფოთიდან | დილის | 10 ს. 26 | „ |
| ტყიბულიდან | საღამოს | 7 ს. 00 | „ |
| შორაპნიდან | დილის | 9 ს. 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | დილის | 11 ს. — | „ |
| „ | ღამის | 12 ს. 15 | „ |
| ბათომისაკენ | საღამოს | 7 ს. 3 | „ |
| „ | დილის | 5 ს. 55 | „ |
| ფოთისაკენ | დღისით | 4 ს. | „ |
| ტყიბულისკენ | დილის | 8 ს. 13 | „ |
| შორაპნისაკენ | დღით | 5 ს. 18 | „ |

## ავათმყოფნი სუსუნატით

დიდი დროის დაკარგვისა და თავიანთი სენის უშედეგო წამლობის მაგიერ ამჟამათ გამოგონილია პროფეს. მორნის მიერ ახალი საშუალება, რომელიც მეცნიერულათ არის შემზადებული და ავათმყოფთ სრულებით კურნავს მოკლე დროში ამ სენისაგან. ეს საშუალებაა **ბლენიოზოლი** პროფესორ მორნისა.

ბლენიოზოლი შესდგება ახალ უკანასკნელათ გამოგონებულ ქიმიურ ელემენტებისაგან და საექიმო პრაქტიკაში საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია, როგორც რადიკალურმა გამკურნებელმა საშუალებამ ქრონიკულ სუსუნატისა, ტყლაპისა, ჭაჭებისა და შარდის ბუშტის ანთებისაგან. პროფ. მორნის **ბლენიოზოლი** რადიკალურათ სპობს გონორეის ბაცილებს, რა სიღრმემდისაც უნდა იყოს სხეულში ჩამჯდარი; ბლენიოზოლი ახდენს შარდის ბუშტის დეზინფექციას და მალე სპობს სიმწვავეს, ტკივილებს, დენას და სრულებით ასუფთავებს სუსუნატის სენით მოდებულ სხეულის ნაწილებს. ყველანი განურჩევლათ სქესისა, ვინც კი შეპყრობილი არიან ამ სენით ვალდებული არიან იხმარონ „**ბლენიოზოლი**“, როგორც ერთადერთი საშუალება გონორეი—სუსუნატისაგან გასათავისუფლებლათ. ამ საშუალებით მორჩენილ სნეულება მეორეთ აღარ განახლდება. კლინიკურ საავათმყოფოებში გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ ბლენიოზოლი დასაწყისშივე სპობს სუსუნატისაგან წარმომდგარ შედეგებს. რადიკალური მოქმედება ბლენიოზოლისა დამოწმებულია მრავალ კლინიკასა და საავათმყოფოებში.

**ბლენიოზოლი** იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „საექიმო პრაქტიკულ ლაბორატორიისა“ **პ. შავერზაშვილის სააფთიაქო მაღაზიაში.** გიმნაზიის ქუჩა, თეატრისპირდაპირ.
ფასი ერთი კოლოფის 3 მან. და 50 კ. სრული გათავისუფლებისათვის საჭიროა 3—5 კოლოფ

**პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.**

ბ. კოლეგოვი იტყობინება: „თქვენი პრეპარატის „ბლენიოზოლის“ ხმარების შემდეგ სრულებით გავთავისუფლდი სენისაგან, რისთვისაც გულითად მადლობას გწირავთ. ყველა ჩემს ნაცნობს ვურჩევ მიმართონ ამ საშუალებას, რადგანაც ბლენიოზოლმა მომანიჭა სრული სისაღე სხვა დანარჩენი საშუალებანი, რომელიც კი ვიხმარე წამლობის დროს ცუდათ მოქმედებდენ და ვერც სნეულებისაგან გამათავისუფლეს.
თქვენი ურდგულესი **ია ნ. კოლეგოვი.**
ქ. პეტროვსკი სირ-დარის ოლქი. 9 (წლიური)


მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა ალ. კოხრეიძისა'
ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან.